



Handwritten signature

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09/14/1691

ქ. თბილისი

23 07 2020წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს დოქტორანტ გიორგი გარსევანიშვილის (პირადი ნომერი 59001013475) დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც 2017 წლის 2 მარტის №608/05 ბრძანებით ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირებაზე“ და შემდგომ 2018 წლის 9 მარტის №01-09-14/264 ბრძანებით, მობილობის წესით, ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამა „საჯარო მმართველობაზე“ და არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება. სადისერტაციო თემა: „ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ბალათურია; რეცენზენტები: პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (სტუ), ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე (თსუ).

2. დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 1-ელ აგვისტოს 12:00 საათზე სტუ-ის VI კორპუსის 704ა ოთახში.

რექტორი

Handwritten signature of the rector

დავით გურგენიძე

Handwritten signature at the bottom right